სამი კატეგორიის ადამიანი არიან, ვისთანაც ალლაჰი არ ისაუბრებს აღდგომის დღეს, არ განწმენდს მათ და მათთვის მტკივნეული სასჯელი იქნება

გადმოცემულია სალმანისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) რომ მან თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «სამი კატეგორიის ადამიანი არიან, ვისთანაც ალლაჰი არ ისაუბრებს აღდგომის დღეს, არ განწმენდს მათ და მათთვის მტკივნეული სასჯელი იქნება: მოხუცი, რომელიც ჩადის მრუშობას; ღარიბი, რომელიც ქედმაღლობს; კაცი, რომელსაც ალლაჰმა ვაჭრობის შესაძლებლობა მისცა, მაგრამ არ ყიდის და არ ყიდულობს, გარდა ყალბი ფიცის საშუალებით».

[სანდო (საჰიჰ)] [رواه الطبراني]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვითხრა სამი სახის ადამიანზე, რომლებიც, თუ არ მოინანიებენ და არ მიეტევებათ, სამმაგი სასჯელის ღირსნი გახდებიან ალლაჰისგან აღდგომის დღეს: პირველი: ალლაჰი არ ესაუბრება მათ აღდგომის დღეს თავისი ძლიერი რისხვის გამო, არამედ უკუაგდებს მათ, ან დაელაპარაკება ისე, რაც მათ არ გაახარებთ და მის უკმაყოფილებას გამოხატავს. მეორე: ალლაჰი არ განწმენდს მათ, არ შეაქებს და არ გაათავისუფლებს მათ ცოდვებისგან. მესამე: მათთვის იქნება მტკივნეული და მძიმე სასჯელი საიქიოში. ამ კატეგორიის ადამიანები არიან: პირველი კატეგორია: მოხუცი კაცი, რომელიც ჩადის მრუშობას. მეორე: ღარიბი, რომელსაც არ აქვს ქონება, თუმცა მაინც ქედმაღლობს ხალხის წინაშე. მესამე: ის, ვინც ვაჭრობასა და ყიდვა-გაყიდვაში ხშირად იფიცება ალლაჰის სახელით, შეურაცხყოფს ალლაჰის სახელს და მას მხოლოდ მატერიალური სარგებლის მისაღებად იყენებს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5952